ბრძანება:№94. 94260611
თარიღი:02/03/2026

ქედის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის 2026-2036 წლებისთვის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2036 წლებისთვის მიზნად ისახავს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ან ორგანიზაციის მდგრად ზრდას, ინოვაციების დანერგვასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ძირითადი აქცენტები კეთდება ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ციფრულ ტრანსფორმაციაზე, ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერებაზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ პასუხს მომავლის გამოწვევებზე. აღნიშნული გეგმა მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო პარტნიორებს შორის. მნიშვნელოვანია ქედის მუნიციპალიტეტის მიერ აქტიური ნაბიჯები გადაიდგას სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ე“ ქვეპუნქტების, ასევე 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ქედის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის 2026-2036 წლებისთვის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) **მამუკა თურმანიძე** - ქედის მუნიციპალიტეტის მერი - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) **იმედა ვასაძე** - ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

გ) **მამუკა ფარტენაძე** - ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ჯგუფის წევრი;

დ) **გულადი წითელაძე -** ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის წევრი;

ე) **ეკა გოგუაძე-მახარაძე** - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-

საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის წევრი;

ვ) **დავით თედორაძე** - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ზ) **ბადრი სურმანიძე** - ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

თ) **ამირან ცინცაძე** - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

ი) **ამირან წულუკიძე** - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

კ) **ლევან ბერიძე -** ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

ლ) **ნაზიმ ჩხეიძე -** ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მამუკა თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი